

რედაქცია

გოლოვინის პრესკეჯე ზე თავ. მურან. ბა-  
ტონის სახელეუბო კლევის ქვემოლ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში,  
ქუთაისში: ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გა-  
რეშე მცხოვრებთა ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ,  
ВЪ РЕДАКЦІЮ «ДРОБНА»

«დროების» ფასი

თბილისის წლისა. . . 9 მ. სამის თვისა. . . 3 მ.  
ქვესის თვისა. . . 5 მ. ერთის თვისა. . . 1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

შანი განცხადებისა

დიდის ასობით—ასობე ერთი ვაჭივი. ასო-  
მთავრულით ასობე ნახევარე ქაჭხარე ქვემოლ-  
რივის ასობით სჯაროვნე რედაქციაში  
თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია განს-  
წორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავ-  
ნილ წერილებს. დაუბეჭდად წერილებს რე-  
დაქცია ვერ დაუბ უნებს ავჯორს.  
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და  
სხვა ენებზედ.

ცალგე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«დროება» პირველის ივნისი-  
დამ წლის დამლეგებდე ღირს ექვსი  
(6) მანათი.

## ტელეგრაფი

(ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსია.)

**პეტერბურლი, 1 ივნისი.** ხელმწი-  
ფე იმპერატორმა ინება 17 პო-  
ლიტიკურ დამნაშავეს, რომელ-  
თაც სიკვდილი ჰქონდათ გადაწ-  
ვეტილი, ჩამოხრჩობა შემდეგი  
სასჯელებით შეეცვალოთ: ბოდ-  
დანოვიჩი, ტელდოვი, ზღა-  
ტოპოლსკი, გრაჩევსკი, კლიმენ-  
კო და ბუცევიჩი გაიგზავნონ გა-  
ტორგაში უკადოთ. სტეფანოვიჩს  
უკადო გატორგა შეეცვალოს რვა  
წლის გატორგით; ლისოვსკის  
ქალს გატორგა ოთხ წლამდე შე-  
უმცირდეს; ბორეიმა გაიგზავ-  
ნოს დასასახლებლად ციმბირის  
ახლო ალაგებში, იუშკოვის ქალი  
დასავლეთს ციმბირში.

**მოსკოვი.** გუშინდელ სხდომა-  
ზედ, ქალაქის რჩევაში, ქალაქის  
თავმა ჩინერინმა კრებას მოახსენა,  
რომ ხელმწიფე იმპერატორმა  
პირად იმას უბრძანა, რომ სრუ-  
ლიად გამყოფი ბრძანდება მოს-  
კოვით, მადლობელია იმ მასპინ-  
ძლობისთვის, რომელიც იმას  
გაუწიეს და ამას იქით უფრო მჭიდ-  
რო კავშირი იქნება მოსკოვის და  
იმპერატორის სახლს შორის მე-  
რე ჩინერინმა კრებას შეატყობი-  
ნა, რომ ნება დასცეს გამოუმონ

სამი მილიონის აბლიგაციები მოს-  
კოვის გასამშვენებლად.

**ვიატკა** სარაპოლსკის მაზრაში  
წყალ დიდობა იყო, რომელიც  
ორმოც-და-ათი ვერსის სიგრძე-  
ზედ უველადი თან წბიდო ოთ-  
ხი წისქვილი, მრავალი შენობე-  
ბი, შემა და თივა მოგლიჯა. სამი  
გაცი დაახრჩო და მრავალი საქო-  
ნელი.

**პეტერბურლი, 2 ივნისი** უცხო  
საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა ცირ-  
კულიარი რუსეთის ელჩებს უცხო  
სახელმწიფოთა კარზე მყოფთ,—  
გამოუცხადონ მისი გულითადი  
მადლობა უცხოეთელ გვირგვი-  
ნოსნებს იმ მეგობრობის დამტ-  
კიცებისთვის, რომელიც გამოიხა-  
ტა მათგან მოსალოცავად საგან-  
გებო დესპანების გამოგზავნაში  
დაგვირგვინების დროს.

თბილისი, 3 ივნისი.

რასაკვირველია, ჩვენს მკითხველებს  
ეცოდინებათ, რომ რუსეთის იმპერიის  
სივრცეზედ გაბნეულია რამდენიმე მი-  
ლიონი სული ხალხი, როგორც სისხ-  
ლით, ისე ყველაფრით იგივე რუსები  
არიან, მაგრამ აქამდე იმ სამოქალა-  
ქო უფლებებს მოკლებულნი იყვნენ,  
რომელნიც ყველა კაცის თითქმის  
თანაშობილს უფლებებს შეადგენენ  
და არ უნდა წაერთვას, მინამ კაცი  
კანონის იმ მუხლის წინააღმდეგ არ  
შესცოდავს, რომელიც ყველა უფლე-  
ბების ჩამორთმევასა თხოულობს და  
ციმბირში გამგზავრებას. მე მოგახსენ-  
ებთ, რუსეთში ესეთ წოდებულს,

«რასკოლნიკებზედ». პრაფერი სო-  
ციალური (საზოგადობრივი) დანაშა-  
ული იმით არ ჩაუდენიათ; იმათი შე-  
ცოდება მხოლოდ ის იყო, რომ ჰქუას  
ძალა დაატანეს: სამართო წიგნები  
შეისწავლეს, დაუფიქრდენ და, კარ-  
გად თუ ავად იმ დასკვნაზედ მივიდენ,  
რომ, ვითომც, ჩვენი მართლ-მადი-  
ლებელი ეკლესია დაჰშორებია ნამ-  
დვილს მართლ-მადიდებლობას და  
საერთო ეკლესიას გაუდგენენ. იმის  
მაგიერ, რომ მათთვის მათი შეცდო-  
მა დაემტკიცებინათ, დაუწყეს პოლი-  
ციის ძალით სასტიკი ღვენა და ეგო-  
ნათ ამ საშუალებით მოარჯულებდენ;  
მაგრამ, როგორც ადვილი წარმო-  
სადგენი იყო წინააღმდეგ, ეს ღვენა რას-  
კოლნიკებს უფრო ენერგიას უმა-  
ტებდა და აჯიუტებდა. ამ ღვენამ  
ისეთი მოუდრეკელი ფანატიკოსები  
დაბადა მათ შორის, რომ როდესაც  
სართალი მათ ციხეს, ან ციმ-  
ბირს უწყევტავდა, ისინი დიდის სი-  
ხარულით და ფსალმუნების გალობით  
მიეგებებოდენ ხოლმე სასჯელს. რო-  
დესაც ამ გვარს გმირებს დაჰბადავს,  
რომელიმე სწავლა, მაშინ იმასთან  
ბრძოლა აღარასფერს ძალას აღარ  
შეუძლიან, რადგანაც მისი ფესვები  
ღრმად წასულან. მოარჯულების მაგიერ  
ამ რამდენიმე საუკუნეში ღვენამ და  
შევიწროებამ უფრო გააშმაგა რას-  
კოლნიკები და დაბადა მათ შორის  
ისეთი წრეს გარეთ გასული ხალხი,  
როგორც «სკაპცები» და ზოგიერთ-  
ნი კიდევ ისეთები არიან, რომელ-  
თაც აღარც ღმერთი სწამთ, არც ხელ-  
მწიფე და არც რამე საზოგადოებრივი  
წყობილება მიაჩნიათ.

შხლა, როგორც თვით ქატკოვიც

სუხი არაფენ გასცა. ზამიკვირდა, ნუ  
თუ შუთაისში ვარ, ბანკის გათქმულ  
კრებაზედ, სადაც, როგორც გამიგო-  
ნია, ჩვეულებრივი მოვლენაა ზომა-  
ზედ მეტად გაცხარებული ლაპარაკი,  
კიყინის დაცემა, ტანისამოსების ხევა,  
ხანჯლების ტრიალი!

შეიცოდა კრება ერთმა წევრმა და  
სთქვა: დავიცადოთ ბატონებო, ხეა-  
ლამდის; ხვალ მოვლენ კიდევ ჩვენი  
ძმები და ამხანაგები და ერთად გან-  
ვიხილოთ ანგარიშიო. წარმოითქვა  
ეს თუ არა, ყველას გულზე მოეშვა;  
თავმჯდომარემ სხდომა მეორე დღის-  
თვის გადასდო და კრება დაიშალა.  
პირველი სხდომა გაგრძელდა ნახევარ  
საათს! იყო სურათი პირველის დღის  
კრებისა. ახლა უნდა მოველაპარაკოთ  
მკითხველს გამგეობის მოხსენებაზედ  
და მინისტრისაგან გამოგზავნილ ქა-  
ლალზედ.

პი გამგეობის მოხსენება მოკლედ:  
1882 წლის განმავლობაში გრძელ

მოწმობს, მართებლობა დარწმუნდა,  
რომ ღვენა უფრო ენერგიას უღვი-  
ძებს რასკოლნიკებს და წრეს გარეთ  
ეზიდება. ახლად დაგვირგვინებულმა  
ხელმწიფე იმპერატორმა, სხვათა წყა-  
ლობათა შორის, რასკოლნიკების სი-  
ნიდის და სულიერს რწმუნებებს  
ახსნა ის მძიმე ბორკილი, რომელიც  
ამდენის ხნის განმომავლობაში დაღე-  
ბული ჰქონდათ. მართის სიტყვით,  
რასკოლნიკებს აღექსანდრე მესამის  
ღრას მიენიჭათ ის შეღავათი, რასაც  
აქამდე სულიმწარედ მოელოდენ, ის  
ახალი კანონი, როგორც ცხადი სა-  
ბუთი ჰუმანური (ადამიანური) და  
გონივრული პოლიტიკისა, ამ რამდე-  
ნამე ხნის წინეთ დაბეჭდილი იყო  
ჩვენს გაზეთში და ეხლა აღარ გან-  
ვიმეორებთ. იმის გარდა, რომ რამ-  
დენიმე მილიონი ერთგული ქვეშევრ-  
დომებისა ღღეს მართებლობამ და-  
მიანებად იცნო და წართმეული  
უფლებები დაუბრუნა, სასიქადულო  
და ღირს შესანიშნავი ის არის, რომ  
თვით მართებლობამ თავის ძლიერი  
აეტორიტეტით აღიარა ის ბრწყინვა-  
ლე პრინციპი, რომ ღვეწულობას,  
ნამეტნავად, როდესაც კაცსა სდევ-  
ნიან რწმუნებისთვის, სინიდისის ასე  
და არა ისე გაგონებისთვის, სარგებ-  
ლობის მაგიერ, დიდი ენება მო-  
აქვს.

იმ ღღეს შემთხვევამ მოიტანა და  
აღენიშნეთ ჩვენი ვაჭრების უზრდე-  
ლობა და ეხლა სხვა შემთხვევა გაძ-  
ლევს ნებას დაეასახელოთ მეორე  
ჯურის ხალხის არა მართა უზრდე-  
ლობა, არამედ პირდაპირ ყაჩაღური  
საქციელი. ძიდევ მიხვდებოდით, რომ

ვადიანი სესხი გაცემულა 724,200  
მანეთისა. აქედამ მხოლოდ 161,400  
მანეთისა გაცემულა სოფლის მამუ-  
ლებზედ. ღანარჩენი ქალაქისაზედ.

შუთაისის მამულებზედ გაცემულა  
98 სესხი, ოზურგეთისაზედ 8, სოფ-  
ლის მამულებზედ კი მართა 49.

ამავე 1882 წელს ვაჭრობა მომხ-  
დარა 14 მამულზედ, რომელთაგან  
11 მოგებით გაყიდულა და მხოლოდ  
სამი დარჩენია ბანკს (ეს პირველი  
მაგალითია, რომ ბანკს დაგირავებუ-  
ლი მამული დარჩენოდეს).

შუთაისის ბანკის გირაოს ფურც-  
ლებს შარშან სხვა ბანკის ბილეთებ-  
სავით დაუწვევით საზოგადო მიწზე-  
ბის გამო და არც ადვილად იყიდე-  
ბოდა თურმე. 1882 წლის განმავ-  
ლობაში ბანკს მიბარებული ჰქონია  
გასასყიდლად 513,600 მანეთის გი-  
რაოს ფურცლები, მაგრამ ამ რიცხვი-  
დამ მხოლოდ ნახევარი გაუყიდნია.

ბანკის წმინდა მოგება ამავე წელს

«დროების» ფელტონი 4 ივნისი.

შუთაისის ბანკის კრება

ქუთაისი 30 მაისი.

ღღეს პირველი ღღეა ბანკის კრე-  
ბისა, შუთაისი ჯერ ცარიელია. ასამდე  
წვერი ძლიერ მოგროვდა პირველის  
ნახევარზედ სამეფო სახლში. აქა-იქ  
გაბნეულ წვერთა გროვებზედ არ ეტყო-  
ბა, რომ წრევანდელი კრება ჩვეუ-  
ლებრივად ცხარე კრება იყოს, მაგ-  
რამ ბევრი ეს სიჩუმე ძლიერის ქარი-  
შხალის მომასწავებელი ჰგონიათ.  
ბანკის ცა სრულიად მოწმენდილია,  
ლაქვარდად კაშკაში გაუღის, თუმცა  
ერთ მხარეს პატარა შავი წერტილი  
მოჩანს. ეს წერტილი ნელ-ნელა  
იზდება და აქაური ბანკის ვარსკე-  
ლავთ-მრიცხველები მას დიდს მნიშე-  
ნელობას აძლევენ. ეს წერტილი მი-  
ნისტრისაგან გამოგზავნილი ქალა-  
ღია.

პირველს საათზედ სხდომა გახსნა  
ზედამხედველის კომიტეტის თავმჯდო-  
მარის მაგიერმა თ. ანტონ ლორთ-  
ქიფანიძემ. ძრებაში მხოლოდ ას-ოთხი  
წვერი დავსწრო. ზამგეობის თავმჯდო-  
მარემ ნ. ლოლაბერიძემ წაიკითხა გამ-  
გეობის მოხსენება. ზედამხედველის კო-  
მიტეტის თავმჯდომარემ—მოხსენება  
ზედამხედველის კომიტეტისა, რომე-  
ლიც ამბობს რომ ზედამხედველმა  
კომიტეტმა განიხილა და შეასწორა  
(ალბად «შემამოწმა» უნდა იყოს) ბან-  
კის გამგეობის მიერ წარმოდგენილი  
ანგარიში და ყოველივე ბანკის მოქ-  
მედება წესიერად ნაწარმოები აღმო-  
ჩნდაო.

ამ ანგარიშის წაკითხვის შემდეგ  
ზედამხედველის კომიტეტის თავმჯდო-  
მარემ ჰკითხა კრებას; როგორ ინე-  
ბებთ დამატკიცებთ ღღეს ანგარიშს,  
თუ სახვალიოთ გადავდოთ? ხმა  
არაფენ ამოიღო. თავმჯდომარემ ხელ-  
მეორედ იკითხა ესევე და კიდევ პა-

მე მოგახსენებთ აქაურ მეფაიტორებზედ. შაილისელი მეფაიტორები საშუალო საუკუნოების ცეხივით (ამჟამად) ვიწროდ შემოზღუდულან, მონაპოლიად გაუხდიათ თავიანთ ხელობა და როგორცა ჰსურთ ისე ჰყვლეფენ ხალხს. ჯერ ერთი ექვსი შაურის დიდი ფასია და ამასაც მხოლოდ მაშინ დაგვერდება თუ ბუღვარიდან სოლოლაკამდე, ან ატვიამდე გაისივინენ; ამაზედ შორს, თუ თავისი ქეიფი არ არის არ წაგიყვანს და ერთი ორად გადაგახდევინებს. თუმცა ერთხელ და ერთხელ ტაქსა დაწესებულია და უთანხმობას და ჩხუბს ალღავი აღარ უნდა ჰქონდეს, მაგრამ დღე არ გავა რომ რამდენჯერმე ჩხუბი არ გაუმართონ ვისმე მეფაიტორებმა და საპოლიციოთ საქმე არ გახადონ.

ბუშინ ერთი მოქალაქე თავისი ცოლით და ორი შვილით ფაატონით მოდიოდა და მუხრანსკის სახლის წინ რალაც ჩხუბი მოუვიდათ, მეფაიტორემ თითონ მოქალაქე გალახა და ცოლშვილი ფაატონიდან გადმოუყარა. სამი წლის ყმაწვილი ისე გადმოცხებებინა, რომ სისხლი სდიოდა და უეცრივ შეყრილმა ხალხმა კინალამ ფეხით გასრისეს. შმაწვილი ისე იყო დაყვილი, რომ მაშინვე ექიმთან წაიყვანეს.

ზამხცეცხული მეფაიტორეც პოლიციისკენ წათრიეს. მაგრამ პოლიციამში მიიყვანეს, თუ არა ღმერთმა იცის...

**ახალი ამბები.**

აბაშიდან დიდ სამღურავსა გვწერენ იქაურ სტანციის უფროსზედ, რომელსაც თავისი თავი მართლა რალაც „ნაჩაღნიკად“ წარმოუდგენია და ხალხს აწუხებს. ხორაგის გაზაფხა, რომ გვიდოდეს ქალაქში და ვაგონების გამოწერა ესთხოვოთო, ის ჯერ პასუხს არ გვაღიროსებს და, თუ ძალა დაეატანეთ, დაცინვით გვეტყუ-

ყოფილა 57,124 მან. ამ ფულის ნაჩეყარი, ესე იგი 28,562 მან. საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

ამ მოხსენებაში სხვაზედ მეტად ეს არის შესანიშნავი, რომ გამგეობას სოფლის მამულზედ მთელს მუთაისის გუბერნიამში ნაკლები გუტყია, ვიდრე ქალაქებისაზედ, ვიდრე მარტო ქ. მუთაისის მამულზედ. — რასაკვირველია, ბანკს რომ იმდენის გირაოს ფურცლების გამოცემა შეეძლოს, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს, მაშინ ისე მანებელი არ იქნებოდა ქალაქის მამულზედ უხვად გაცემა სოფლების მამულებთან შედარებით, მაგრამ მუთაისის ბანკს უნაგარიზოდ სესხის გაცემის უფლება არა აქვს. მას შეუძლიან სესხად გაცეს მხოლოდ ათჯერმეტი იმ ფულისა, რომელიც ძირის ფულად არის. მხლა ამ მუხლის ძალით, ბანკს შეუძლიან მხოლოდ ხუთი მილიონი ჰქონდეს სესხად გაცემული და თუ ბანკმა ეს ხუთი

ვისო: მოიცადეთ, ჯერ სათქვენო ვაგონებს ქარახანაში აკეთებენო...

აბნეთიდანამც სამღურავსა გვწერენ, მაგრამ რომელიმე სტანციის უფროსზედ კი არა, რომელსაც ღმერთიც აპატიებს, ურიგო ქცევას; ემდურებიან მათ, ვინც სამღურავამდე არ უნდა მიიყვანოს. როგორცა სჩანს, თელავი ძალიან მოსწონებიათ აბნეთის სულიერს მამებს, მაგალითებ: კორესანდენტი იწერება, რომ ს. რუის-პირის ტერტერას მუდმივი ბანა თელავში გაუკეთებია და ხალხი 7 ვერსზედ დარბის იმასთან. აგრეთვე თელავში დაბუნაგებულან: ახატელის და ხორხელის მღვდლები. ხორხელი-დამ თელავამდე 20 ვერსია, მიგვიქცევა ყურადღება, ვისიც ჯერ არს.

მუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქაური ერთი სასწავლებლიდან თორმეტი შეგირდი გამოურიცხავთ და ამ შეგირდებს სამი მასწავლებლისთვის უსიამოვნობა მიუყენებიათ ქუთაისის ბუღვარში.

„პავლას“ სწერენ, რომ ბაქოსა და მანჯის გუბერნიებში პირველი მაისიდან გაჩენილა დიდ-ძალი კალია და ხალხი გამოურეკიათ მათ ვასაწყვეტად, მარტო ჯევის მანჯირიდან 3,670 კაცი თურმეა მიწდვრად გამოყვანილი და კალიას ებრძვიან.

მხლახანს აკუთხეს მოსკოვში უზარ-მაზარი ტაძარი მაცხოვრისა, რომელსაც სამი იმპერატორი აშენებდა. აშენებას მოუწყვეს სამოცდა-ექვსი წელიწადი. საძირკველი ჩაუყარეს იმპერატორი ალექსანდრე პირველის თანა დასწრებით 1817 წელს. პირველი პლანი ინჟინერმა მიტბერგმა შეადგინა, რომელშიაც ტაძრის სიმაღლე უნდა ყოფილიყო ას ათი საყენი, მერე ის პლანი შესცვალეს და მეორე შეადგინა ტონმა. მაცხოვრის ტაძარს აქვს ჯვარის ფორმა

მილიონი სულ ქალაქების მამულზედ დაარბია, სოფლებებისათვის ბანკი თითქმის გაუქმებული იქნება და არ შესრულდება უმთავრესი აზრი ბანკის დამარსებელთა—ის, რომ ბანკმა სოფლის მამულსებს ხელი გაუმართოს, კერძო პირთა ვალებსაგან დაიხსნას და მისცეს ღონისძიება მამულების უკეთესად შემუშავებისა.

იქნება მკითხველს ვაგონილი ჰქონდეს, რომ ეს ოთხი თვე მეტია, რაც ბანკს სესხის გაცემის უფლება დროებით მოესპოა ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, ასე რომ ბანკის მოქმედება ეხლა—მხოლოდ სარგებლის აღებაა, წელიწადში ორ-ჯერ ვადა-ვატარებულ მამულზედ ვაჭრობის დანიშნვა და წელიწადში ორჯერვე ტირაჟის წარმოება. ბანკის მოქმედება ასე შემცირებულია, მაგრამ ბანკში მოსამსახურე პირთ სიმრავლე კი გასაოცებელია უცხო კაცისათვის, რომელმაც არ იცის იმე-

და უტირავს 1,500 ოთხ-კუთხიანი საყენი. თეთვეული მხარის სიგრძეა 39 საყენი, სიმაღლე ჯვარის წვერამდე 48 1/2 საყენი, საძირკვლის ჩაყრას მოუწდა ორი წელიწადი; სიღრმე ამ საძირკვლისა არის 14 არშინი, ხარაჩოები მოუწდა 240,000 მანეთისა (ოც-და-ოთხი ათასი თუმნისა) ერთი პირი გარეგანი კედლებისა თეთრი მარმარილოთა აყვანილი; იმავე მარმარილოთა გამოქანდაკებული მრავალი სამღრთო ისტორიის ფიგურები; ამათი გაკეთებას მარტო ხელფასი მოუწდა 773,000 მან. ხუთი გუმბათის ოქროთი მოვარაყდება დამჯდარია 442,000 მანეთი სულ დახარჯულა ამ ტაძარზედ თხუთმეტი მილიონი. ისაკიევის სობორო პეტერბურღში დამჯდარია ოც-და-სამ მილიონად.

**სასამართლოს ხრონიკა.**

საქმე თ. პ. მრისთავისა და შ. შიკოლლების ბერსის სახლში თავ-დასხმის თაობაზე.

დღეს ოც-და-რვა მაისია და დამირუბისამებრ სამსჯულთს თავმჯდომარე გაცხნა სხდომა. მსჯურებლები უფრო მეტია, ბრალდებულნი თავისუფლათ არიან ერთობ დაფიქრებულნი, ეტუობა, კმინანთ ცრუ მოწმებით მოსამართლენი შეცდომაში არ შევიდნენ და ისე არ ახსნან საქმე ვითამც ამთ თავ-დასხმას საჩუქად გაცარცვა ჰქონდეს. დაიწყო მოწმების კითხვა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მსჯურებს და დამცველებს მოწმების ჩვენებაზე.

მეხუთე მოწამე აცხადებს, რომ როგორც გამომძიებლის შედგენილ ჰქადაღში სწერა იმას ისე არ უჩვენებია, ვითამც თ. ერისთავს სახლში შესვლის დროს იარაღი სჭერადეს ხელში, იმას კარგად ახსოვს, რომ იმას ამ ნაირად გოწია არ უხანავს.

მექვსე მოწამე პოლიციის ბოქაული აფხაზი ამტკიცებს თავის პირველ ჩვენებას გოწიას წინააღმდეგ იმ განსხვავებით,

რეთის გარემოება და ყოველივე საზოგადო საქმის ხელის შემშლელი გარემო მიზეზები. ამ საგანზედ ლაპარაკისთვის მალე მოვიცილოთ, ეხლა შევნიშნავთ მხოლოდ რომ მამულების დასაფასებელად შეიდი დამფასებელი ჰყავს მუთაისის ბანკს და მერე იმ დროს, სოფლსაც ერთმა დამფასებელმაც კი, სამთლით რომ ეძებოს, საქმეს ვერას გამოიძენის.

ბანკმა შეაჩერა თავისი უმთავრესი ოპერაცია—სესხის გაცემა და ძალიან ცუდადაც იმოქმედა. ამ ამბავმა როგორც ბანკზედ, ისე თავად-აზნაურებზედ, რომელნიც ბანკის წვერთა უმრავლესობას შეადგენენ. თავად-აზნაურობის წინამძღომელმა წარუდგინა მთავარ-მმართველის შუამავლობით ფინანსთა მინისტრს თხოვნა, რომ ბანკისათვის უწინდელი უფლება ისე მიენიჭებინათ და ამის პასუხად თავად აზნაურობის წინამძღომელს ზემოხსენებული ქალაღი მოუვიდა. რასაკვირველია, ბანკის გამგეობის

რომ იმან ხანა როგორ სხვადი დასტრა მოკლეული გაცი მართქის წესისა—მცემმა პოლიციის იუსტიციისა—

მეშვიდე მოწამე სულდთი ამტკიცებს უგანსხველი მოწმის სიტყვას მეკადრი კაცისთვის სხვადის დაკვრას და უმეტებს, რომ იმან და ერთმა მისმა ამხანაგმა მეკადრს გაუსინჯეს ჯიბე და აღმოუხნდა 3 კაპ. და ორი ტყეა.

მერე მოწამე, პოლიციის ბოქაულიც ამტკიცებს იმ საზიზღრობას მოკლეული კაცის დაჭრას და აცხადებს, რომ როცა ის დააყენეს, უთხრეს, რომ სხვა რაზობანიკები მოკალითო და არა გოწია შამე-ოდლებით. ერთი მოწამეც აცხადებს, რომ იმას ისე არ უჩვენებია, როგორც გამომძიებელს აქვს დაწერილი. მოწამე პოლიციის მოხელე, რომლის მიხეზითაც შამე-ოდლი პოლიციიდან გამოვიდა, აცხადებს, რომ ბრალდებული შამე-ოდლი სამსახურიდან არ ყოფილა დათხოვილი რამე ცრუდი უოფა-ქცევისათვისო, მხოლოდ ბერსის წინააღმდეგით და უფრო თავის სურვილით გამოვიდაო. ზოგი მოწამეც განთავისუფლეს ექიმების და პრეკურორის თანხმობით, დანარჩენი დღეგანდელი მოწმები, რომლებიც პოლიციის ბანკიდან არიან იმეორებენ თავიანთ პირველ ჩვენებას. რასაკვირველია, ბრალდებულთ წინააღმდეგ, თავმჯდომარის, პრეკურორის და ექიმების კითხვებზე იხევიან და ეტუობათ კარგათ ვერ მომხადებულს თავიანთ მიხსნისათვის... აჭა სლადმოს ათ საათმაც მოწია და გამოიხმეს ერთი შესანიშნავი ამ საქმის მოწამე ბერსთან ნამყოფი მოახლე ქალი, სახლში მომძაობაა, ერთბაშად სიხუეა, ყველამ სსსს სსსს დაიწყო. მანდილონები სმენად გარდქენენ, მოკლიან მათ საყურადღებო საქმის გამომსვარაგებას, იმ საქმისას რაც ამ საქმეს საძირკვედ ჰქონია. მოწამე რუსია, მომცრო ტანის, ეტუობა მოქნილობა, დაბნაში ხალხის სიხუმით ბუხის ხმაც ისმის, თავმჯდომარის კითხვასზე, თუ რა იცის ამ საქმეზე—ასხნა, რომ პოლიციის შეკრებილი და გამომძიებლისათვის წარდგენილი ცნობები იმა-

მოწინააღმდეგეთ ეს ქალაღი ხელზე დაიხვიეს და იმის საბუთად წარმოადგინეს, რომ გამგეობას საქმე კარვად ვერ მიჰყავდა და სესხიც იმიტომ შეჩერდა და მინისტრმაც იმიტომ გამოგზავნა ამისთანა ქალაღლიო. ბანკის გამგეობა კი თავის მოწინააღმდეგეთ აბრალებს,—თქვენ ჩვენს ბანკზედ ცუდს ხმებსა ჰყრიდით და მინისტრიც იმიტომ მოგვეპყრო ასე სასტიკადაო; ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი,—იქნება მალე არ გამოჩნდეს, მაგრამ ამ ორ მოპირდაპირე დასთა ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხსენებულს ქალაღლს, რადგან იმისთანა პირისა და დაწესებულებისაგან არის გამოგზავნილი, რომელიც შორსა სდგას ერთის დასისა და მეორე დასისაგანაც, ამიტომ ორიოდ სიტყვით გადავცემთ მკითხველს ამ ქალაღლის შინაარს, როგორც საუკეთესო დოკუმენტისას მუთაისის ბანკის ისტორიაში. ეს ქალაღი ბერს რასმე საყვე-





მელსაც შეადგენენ სხვა-და-სხვა გვა-  
რი პოლიციის ჩინოვნიკები. მათში,  
როგორც ისმის, უღირსნიც მოიპო-  
ვებან, რომლებს მოშორება აუცი-  
ლებელ საჭიროებას შეადგენენ. პირ-  
ველადვე მაზრის მართებლობას ვუჩ-  
ვენებთ იმიტომ, რომ დღეს ესენი  
ატრიალებენ მთელი ბორის მაზრას.  
მაზრის უფროსმა თავისი სული და  
მიმართულება ამათ უნდა ჩაჰბეროს,  
მხოლოდ ამათ კი სოფლის მოხელე-  
ებს და მცხოვრებლებს; თუმცა-კი  
ყველა ამ შემთხვევაში ზედამხედვე-  
ლობა თვითვე უნდა იქონიოს. თით  
მაზრის უფროსი ფრიად კარგიც რომ  
იყოს, მაინც ვერას გახდება-რა, თუკი  
იმის თანამეშრომენი და ხელქვეითნი  
მაინებელნი იქნებიან. მაგალითისთვის  
შორს არ წავალთ: ჩვენი ძველი მა-  
ზრის უფროსიც თითონ კარგი კაცი  
იყო, მაგრამ სხვაზედ ზედმოქმედება  
არ შეეძლო; იმას მაინც ხალხი ესხა  
გარემო და ისინი ზღბდნენ წუნს  
თავიანთ მოქმედებით. ამას თავი და-  
ვანებოთ, ჩვენი საგანი აწმყოა. თით  
ქ. ბორის წრეზედ დაყენება, მოსპო-  
ბა მრავალგვარ ბოროტებისა, რომე-  
ლიც არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენ  
გაზეთს «**დროების**» საშუალებით,  
არის დამყარებული მთელ ალაგობ-  
რივ პოლიციაზედ სხვათა შორის  
პოლიციამ ყურადღება უნდა მიაქციოს  
ქალაქის უსუფთაობას, — ქუჩებში,  
საყაბო ალაგებში და სხვაგანაც,  
რომ მათგან გაჩენილმა მიავშება არ  
გააგრძელონ სწეულობა. შალაგოთ  
არ იქნება აქვე მოვიგონოთ, რომ  
შორში, როგორც თვით ექიმებიც ამ-  
ბობენ, ძალიან გაშხირებულია ავ  
სწეულებას რომ ეძახიან ამის მიზეზიც  
არის ან პოლიციის დაუდევრობა, ან  
მაზრის ექიმისა. ანკი რა ჰქნას მაზ-  
რის ექიმმა, როდესაც ამ გვარი სწე-  
ულება ნიადგს პოულობს მიმალულ  
გორის კუნძულებში და დუქნებში,  
საცა იმყოფებიან ამ გვარ ქცევის ქა-  
ლები, რომლებზედაც პოლიციას და  
ექიმს სასტიკი ყურადღება უნდა  
ჰქონდეთ. თუმცა ამ წინაზედ იყო  
მოწერილობა, ვგონებ, გუბერნატო-  
რისაგან, ზომ უნამუსო ქალები ერ-  
თად შეეკრიბად, მაგრამ ჩვენმა პო-  
ლიციამ ამას ღირსეული ყურადღება  
არ მიაქცია. ამან არ იცის რა სხვერპ-  
ლი მიაქვს ამ გვარ დაფარულს გარ-  
ყენილებას. ჩემის ჭკუით საჭიროა  
აეკრძალოთ ამ გვარ გარყენილ ქა-  
ლებს დუქნებში და მივარდნილ ალა-  
გებში ცხოვრება, ამასთანავე, შემდეგ  
იმათ ერთად შეკრებისა, საჭიროა სა-  
სტიკი ყურადღება პოლიციისა და  
მაზრის ექიმისა. — ბარდა ამისა ბევრი  
სხვა სიკეთეც შეუძლიან მაზრის უფ-  
როსს, როგორც ვერძო კაცს, ნდო-  
ბის მქონეს. მაგალითად ავიღოთ შე-  
მთხვევა, რომელიც დღეს ყველას  
თვალ-წინ გვიდევს: **ლიახემა წრეულ**  
კიდევ დიდი ზარალი მისცა მის ახ-  
ლო მცხოვრებელ გორელებს — ახალ  
პოსელენიაზედ და კიდევაც მისცემს  
და ამით წაართმევს შნოსაც და ალაგ-

საც; ხალხის გარემოებას თუ სახეში  
არ მიიღებენ, ეს მაინც იფიქრონ,  
ვისიც ვერ არს, ამისთანა შემთხვევა-  
ში მაზრის უფროს ბევრი შემწეო-  
ბა შეუძლიან.

მაზრის უფროსმა აუცილებლად  
თვითონ უნდა დაიაროს მთელი თა-  
ვისი მაზრა, რომ წამდელიათ გაიგოს  
სათითაოდ ყველა სოფლის მდგომი-  
რება, მისი ცხოვრება, ცხოვრების  
პირობები, ზნე, ჩვეულება და სხვა-  
და სხვა. ამასთანავე თვითონვე პირად  
უნდა ჩააგონოს (რასაც დიდი მნიშ-  
ვნელობა აქვს ხალხის თვალში) სოფ-  
ლის მოხელეებს თავიანთი ვალი და  
უფლება; აგრეთვე ყველა სოფლის  
მცხოვრებლებსაც უნდა აუხსნას რა-  
ში და როგორ უნდა ემორჩილებო-  
დნენ სოფლის მოხელეებს. ამ გვარად  
განსაზღვრა საქმისა ამათ შორის სა-  
ჭიროა, რომ მოხელეებმა აღარ დას-  
ჩაგრონ თავიანთი თანამომენი, რაც  
ძალიან ხშირად ისმის ყველა მხრიდ-  
გან, მაგალითად დღევანდელ «**დრო-**  
**ების**» № 98 ისმის ამ გვარივე საჩი-  
ვარი დიღმის მამასახლისებზედ. ბარდა  
ამისა, საჭიროა გაიმართოს ყველა  
სოფელში კანცელარიები, სადაც  
ყველაფერი რიგზედ უნდა გაიჩინოს.  
ამ მიზნისთვის საჭიროა ყველა სა-  
სოფლო კანცელარიისთვის საჭირო  
წიგნები (შესავალ-გასავლის წიგნები),  
სოფლის წესდებულება და სხვა. — მაზ-  
რის უფროსმა უნდა მისცეს დარიგება  
იმავზედ, თუ როგორ უნდა მოისპოს  
სხვა-და-სხვა გვარი ბოროტ-მოქმედე-  
ბა; ქურდობა, ცეცხლით გადაწვა და  
სხვა. დასასრულს ამისა ვისურვებ სო-  
ფლის მალაზიების ფეხზედ დაყენე-  
ბას.

ზემო ქართლელი.

### განსვალაგანი

დღეს, 4 თიბათვას «**იბალიაში**»  
იხნება

### ჭიდილი

**გლდანლისა & ჩანლისა**

ზარბაზნის ლაჩიბის თვლები.

სამასი წყელი, სულ ახლებია,  
რომელიც ურმის თვლებადაც გამო-  
დგებიან. ძალიან იაფად. ავლაბრის  
მეიდანზე სატუროვის დუქნებში. მა-  
სო ხანდამოვთან. (2—1)


იაფად იხილვა:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ.  
5000 ბროლის სტაქნები 25 კ. თი-  
თო. 600 დანაჩანგლის დასადები  
10 კ., 3000 ოზმა ფოსტის ქალა-  
დი 1 მ. 20 კ. დიდ ძალი ჩაი 1  
მოკრეფისა 1 მ. წამდელი ფუ-ჩე-ჭუ  
2 მ. გირვ. და ბროლის გრაფინკები  
ინგლისის მალაზიაში. (2—1)

ინგლისის მალაზიაში **ინგლისელი**  
**თინს - ანოპუანი** **გაპ - მასტარი**  
ამაგრებს თმას და ადრინდელ  
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-  
სა 2 მან., გაგზავნი 2 მანეთი  
და 28 კაპ.  
(100—82)



**უპალერეკი**  
აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით  
ქმათა ტარნოპოლების  
ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბა-  
ლოვისა. სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.  
ნარდათ შეიდეკლთ დაეთმობათ. (40—14)

საგლობუსო  კაღები  
რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი  
სააგენტო — ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვრისა კაღები,  
ფოკლის „ხელისათვის“ — 25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი,  
განკრები, რეკულები, ღაქი, კარანდაში, პენალი, კაღები, ბუმაყნიკები. პორტ-  
სიგარები, ალბომები, რამები, მაკრატლები, სამართლები, სანთელი, საღესი,  
ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკის), თეთრეულისათვის, პატარა ხალები  
აბტაისათვის კლიონები. ტახტები, სვანდლები, სარკები, სვანდლები, ბეზმე-  
ნი, ზარები, ბინოკლები რუგეტები, გატრანსპარე, შხის-სათები, კომპასები,  
ტერმომეტრები, ძეწები, ნემსები, მაგნატი, სვისტოკი, პომოხი, ქაბრები,  
სარტულები. საყელური, პრობები, საპრობები, კრახები, ფილტრები, შროტები  
თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისა მაკინტოშები, კრახები, საყქიმა  
ქაღალდი გატრ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.  
პატაში — 20 კ. (100—20)

**ОТКРЫТА ПОЛУГODOBAYА ПОДПИСКА**  
**НА ЕЖЕНЕДЪЛЬНЫЙ ЮРИДИЧЕСКИЙ ЖУРНАЛЬ**  
**„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРЪНИЕ“**  
Издаваемый в г. Тифлисъ.  
(годъ третій)  
Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ  
1 до 2 печатныхъ листовъ, кромѣ приложений по прежней программѣ.  
Приемъ подписки, объявлений и розничная продажа: Тифлисъ, Со-  
лолаевская улица д. № 10.  
Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, на полъ года 6 р.  
Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и  
чрезъ два мѣсяца еще 3 р.  
Подписка принимается на 3 мѣсяца—3 р. 20 к. и на 1 мѣсяць 1 р. 25 к.  
**ОТДѢЛЬНЫЕ НОМЕРА—25 коп.**  
Объявленія, казенныя и частныя, по таксъ за занимаемое мѣсто.  
Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и С.-Петербургѣ,  
въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.  
(5—2) Редакторъ-издатель **А. С. Френкель.**  
[Приближ. повѣренный]

**რკინის გზა**  
თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის  
9 საათზედ და 46 წამ. დილით.  
თბილისიდან ხაშურამდინ  
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.  
თბილისიდან ბაქოსკენ  
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.  
ბაქოდგან თბილისისკენ  
9 საათზედ დილისა.  
რიონიდან თბილისისკენ  
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.  
ბათუმიდან თბილისისკენ  
9 საათ. დილისა.  
ფოთიდან თბილისისკენ  
9 საათ. და 41 წამ. დილისა.  
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი  
თბილისში შექოდის  
12 საათზედ ღამისა.  
ბაქოდან მომავალი შექოდის  
თბილისში  
8 საათ. და 46 წამ. დილისა.